

საერთაშორისო ეკონომიკა **III, IV** კურსი (ეკონომიკა, სამართალი და საერთაშორისო ურთიერთობები) **I, II** სემესტრი, **2017-2018** წელი

(I შუალედური ტესტირების ნიმუში)

კითხვა 1

როგორი იყო აზიური ეკონომიკისათვის დამახასიათებელი ორიენტაცია?

აირჩიეთ ერთი:

- a. სამრეწველო
- b. აგრარული
- c. სავაჭრო
- d. სავაჭრო

კითხვა 2

რამდენ ეტაპად იყოფა მსოფლიო მეურნეობის პერიოდიზაცია?

აირჩიეთ ერთი:

- a. სამ ეტაპად
- b. ოთხ ეტაპად
- c. ხუთ ეტაპად
- d. ექვს ეტაპად

კითხვა 3

რას უზრუნველყოფს შრომის საერთაშორისო დანაწილება?

აირჩიეთ ერთი:

- a. გლობალიზაციის მასშტაბების გაფართოებას
- b. ქვეყნებს შორის საქონლისა და მომსახურების საერთაშორისო გაცვლას
- c. ბუნებრივი რესურსების ეფექტურ გამოყენებას
- d. უმუშევრობისა და სიღარიბის დაძლევას

კითხვა 4

მსოფლიომეურნეობრივი კავშირების გლობალიზაცია, როგორც მრავალდონიანი მოვლენა, ეხება:

აირჩიეთ ერთი:

- a. რეგიონულ და ეროვნულ ეკონომიკებს
- b. ყველა პასუხი სწორია
- c. საწარმოებს
- d. საერთაშორისო შრომის, სასაქონლო და საფინანსო-სავალუტო ბაზრებს

კითხვა 5

თანამედროვე მსოფლიოს გლობალურ პრობლემებს მიეკუთვნება:

აირჩიეთ ერთი:

- a. ახალი ინდუსტრიული ქვეყნების სწრაფი ეკონომიკური განვითარება
- b. ახალი მსოფლიო ეკონომიკური წესრიგის ფორმირება

- c. დემოგრაფიული პრობლემა
- d. მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარება

### კითხვა 6

რა არ შეიძლება იყოს მსოფლიოში სიღარიბის მიზეზი?

აირჩიეთ ერთი:

- a. სიზარმაცე
- b. დაბალი ეკონომიკური განვითარება
- c. დოვლათის არასამართლიანი განაწილება
- d. შრომისმოყვარეობა

### კითხვა 7

ბუნებრივ-რესურსული პოტენციალი მოიცავს:

აირჩიეთ ერთი:

- a. კლიმატურ რესურსებს
- b. მიწის რესურსებს
- c. წყლის რესურსებს
- d. ყველა პასუხი სწორია

### კითხვა 8

მსოფლიო ბუნებრივი რესურსების რამდენი პროცენტი მოდის „ოპეკის“ ქვეყნებზე?

აირჩიეთ ერთი:

- a. 35%
- b. 20%
- c. 25%
- d. 30%

### კითხვა 9

სოციალურად ორიენტირებულ ეკონომიკურ მოდელში მაკროეკონომიკური რეგულირება ხორციელდება:

აირჩიეთ ერთი:

- a. სამშენებლო მასალებისა და საფეიქრო საქონლის გამოყენებით
- b. მანქანა-დანადგარებისა და კომპიუტერების გამოყენებით
- c. ფულად-საკრედიტო და საგადასახადო-საბიუჯეტო პოლიტიკით
- d. სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის რეალიზაციით

### კითხვა 10

ტექნოლოგიური და ეკონომიკური ტრანსფორმაციები რომელ სფეროში განაპირობებს ძირეულ ცვლილებებს?

აირჩიეთ ერთი:

- a. ყველა პასუხი სწორია
- b. პოლიტიკურ სფეროში
- c. სოციალურ-პოლიტიკურ სფეროში

d. საზოგადოებრივი ურთიერთობის ყველა სექტორში

### კითხვა 11

ეკონომიკური განვითარების დონის სოციალური მაჩვენებლებია:

აირჩიეთ ერთი:

- a. დასაქმების სტრუქტურა, მშპ-ის ერთეულზე ენერგოტევადობა
- b. ეროვნული შემოსავალი, სამრეწველო წარმოების მოცულობა
- c. სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა, განათლების დონე, ინფორმატიზაციის დონე
- d. სხვადასხვა სახეობის ტრანსპორტით გადაზიდვების შესაბამისობა

### კითხვა 12

„ახალი ინდუსტრიული ქვეყანა“ არ არის:

აირჩიეთ ერთი:

- a. ფინეთი
- b. ჰონკონგი
- c. ტაილანდი
- d. სინგაპური

### კითხვა 13

რას ემყარება საერთაშორისო ვაჭრობა?

აირჩიეთ ერთი:

- a. ურთიერთსარგებლიანობის პრინციპსა და შრომის საერთაშორისო დანაწილებას
- b. ქვეყანათა ეკონომიკურ განვითარებას
- c. ტრანსნაციონალური კომპანიების საქმიანობას
- d. საფინანსო-საკრედიტო ურთიერთობას

### კითხვა 14

რომელი ეკონომიკური თეორიის წარმომადგენლები იყვნენ ინგლისელი თ. მენი, იტალიელი ა. სერა და ფრანგი ა. მონკრეტიენი?

აირჩიეთ ერთი:

- a. ფიზიოკრატიზმის
- b. აბოლუტური უპირატესობის თეორიის
- c. მერკანტილიზმის
- d. შედარებითი უპირატესობის თეორია

### კითხვა 15

ვინ არის საერთაშორისო ვაჭრობის ერთ-ერთი ეკონომიკური თეორიის, „შედარებითი უპირატესობის თეორიის“ ავტორი?

აირჩიეთ ერთი:

- a. დ. რიკარდო
- b. უ. სტაფორდი
- c. ა. სმითი
- d. ჟ. ტიურგო

### კითხვა 16

საქონლის სასიცოცხლო ციკლის რომელ ეტაპზე არსებობს მოთხოვნა და, შესაბამისად, ბაზარი?

აირჩიეთ ერთი:

- a. დანერგვის ეტაპზე
- b. სიმწიფის ეტაპზე
- c. დაქვეითების ეტაპზე
- d. დამუშავების ეტაპზე

### კითხვა 17

რომელი კომპონენტებით არ განისაზღვრება ქვეყნის მაკროგარემო?

აირჩიეთ ერთი:

- a. ძირითადი დარგების განვითარების დონით
- b. სამომხმარებლო მოთხოვნის დონით
- c. კომპანიის სტრატეგიით, ორგანიზაციული სტრუქტურითა და კონკურენციის დონით
- d. წარმოების არსებული ფაქტორებით

### კითხვა 18

ქვეყნის სასიცოცხლო ციკლის რომელი სტადია მოიცავს პორტერის ოთხივე ფაქტორს?

აირჩიეთ ერთი:

- a. სიმდიდრის სტადია
- b. წარმოების ფაქტორების სტადია
- c. ინვესტირების სტადია
- d. სიახლეების სტადია

### კითხვა 19

კლასტერების განვითარების ხელშეწყობა დამახასიათებელია:

აირჩიეთ ერთი:

- a. მეორე სტადიაზე მყოფი ეკონომიკისათვის
- b. მესამე სტადიაზე მყოფი ეკონომიკისათვის
- c. პირველ სტადიაზე მყოფი ეკონომიკისათვის
- d. მეოთხე სტადიაზე მყოფი ეკონომიკისათვის

### კითხვა 20

პორტერის მიხედვით, კონკურენტულ ურთიერთობაში ის ქვეყანა იმარჯვებს, რომელიც ოპერატიულად ითვისებს:

აირჩიეთ ერთი:

- a. სახელმწიფო საკუთრებას
- b. კერძო საკუთრებას
- c. კერძო და სახელმწიფო საკუთრებას
- d. ინტელექტუალურ საკუთრებას

### კითხვა 21

საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობის სუბიექტები არ არის:

აირჩიეთ ერთი:

- a. საერთაშორისო ორგანიზაციები
- b. სახელმწიფო ორგანოები და საწარმოები (საჯარო სამართლის იურიდიული პირები)
- c. საქონელი და მომსახურება
- d. კერძო ფირმები (კერძო სამართლის იურიდიული პირები)

### კითხვა 22

ეროვნული ეკონომიკის განვითარებაზე საგარეო-ეკონომიკურ ურთიერთობათა ზემოქმედების მახასიათებლად გამოყენებულია იმპორტის პროცენტული წილი ქვეყნის მთლიან შიდა საქონელბრუნვაში, რომელიც გაიანგარიშება შეფარდებით:

აირჩიეთ ერთი:

- a. იმპორტის მოცულობა/საქონელბრუნვის მოცულობა X 100%
- b. საგარეო ვაჭრობის მოცულობა/მშპ-ის მოცულობა X 100%
- c. საგარეო ვაჭრობის მოცულობა/მოსახლეობის რაოდენობა
- d. პუი-ს მოცულობა/მოსახლეობის რაოდენობა

### კითხვა 23

საერთაშორისო ვაჭრობის ობიექტი არ არის:

აირჩიეთ ერთი:

- a. საარქივო მასალები
- b. ტურისტული მომსახურება
- c. ინტელექტუალური საკუთრება
- d. მზა პროდუქცია

### კითხვა 24

რამდენი შემხვედრი სასაქონლო ნაკადისაგან შედგება საერთაშორისო ვაჭრობა?

აირჩიეთ ერთი:

- a. ოთხი
- b. სამი
- c. ორი
- d. ხუთი

### კითხვა 25

საერთაშორისო ვაჭრობის განვითარებაზე არ მოქმედებს:

აირჩიეთ ერთი:

- a. სასაქონლო ნომენკლატურისა და საქონელნაკადების გავრცელების გეოგრაფია
- b. ახალი თავისუფალი ეკონომიკური ზონების შექმნა
- c. მსოფლიო არენაზე „ახალი ინდუსტრიული ქვეყნების“ საქმიანობის გააქტიურება
- d. საერთაშორისო ვაჭრობის ლიბერალიზაცია

### კითხვა 26

ვმო-ის ძირითადი მიზანია:

აირჩიეთ ერთი:

- a. კეთილსინდისიერი კონკურენციის პირობებში ყველა ქვეყნის მეწარმისათვის ერთიანი მსოფლიო ბაზრის შექმნა
- b. საერთაშორისო ვაჭრობის ლიბერალიზაციის შემცირება
- c. საერთაშორისო ვაჭრობაში კონკურენციის შემცირება
- d. საერთაშორისო ვაჭრობაში ერთიანი ვალუტის დაწესება

### კითხვა 27

ვმო-ს მართვის მუდმივმოქმედი ორგანოებია:

აირჩიეთ ერთი:

- a. ყველა პასუხი სწორია
- b. დავების გადაწყვეტის ორგანო
- c. სავაჭრო პოლიტიკის ზედამხედველობის ორგანო
- d. გენერალური საბჭო

### კითხვა 28

საერთაშორისო სავაჭრო სამართლის გაეროს კომისიას შემოკლებით ეწოდება:

აირჩიეთ ერთი:

- a. იუნსეფი
- b. იუნსიტრალი
- c. იუნკტადი
- d. პროონი

### კითხვა 29

რა იგულისხმება სპეციალურ შეზღუდვებში?

აირჩიეთ ერთი:

- a. საბაჟო მოსაკრებლები და ფორმალობები
- b. კვოტირება
- c. ყველა პასუხი სწორია
- d. ლიცენზირება

### კითხვა 30

ჩამოთვალეთ კაპიტალის სახეები:

აირჩიეთ ერთი:

- a. საწყისი და ძირითადი
- b. ძირითადი და საბრუნავი
- c. საწყისი და საბრუნავი
- d. საწყისი და საწარმოო

### კითხვა 31

კაპიტალის საერთაშორისო მოძრაობის ძირითადი მიზეზია:

აირჩიეთ ერთი:

- a. უცხო ქვეყანაში მისი სიმცირე და ნაკლებმომგებიანობა
- b. ეროვნულ ქვეყანაში მისი სიჭარბე და მეტი მომგებიანობა

- c. უცხო ქვეყანაში მისი სიჭარბე და მეტი მომგებიანობა
- d. ეროვნულ ქვეყანაში მისი სიჭარბე და ნაკლებმომგებიანობა

### კითხვა 32

მოქმედების ვადის მიხედვით კაპიტალური დაბანდების კლასიფიკაცია არის:

აირჩიეთ ერთი:

- a. მოკლევადიანი, საშუალო და გრძელვადიან
- b. სახელმწიფო და კერძო
- c. პირდაპირი და პორტფელური
- d. სამეწარმეო და სასესხო

### კითხვა 33

პუი-ზე მოქმედი მოთხოვნის ფაქტორებია:

აირჩიეთ ერთი:

- a. რესურსების არსებობა
- b. წარმოებისა და ლოგისტიკის ხარჯები
- c. ტექნოლოგიებთან ხელმისაწვდომობა
- d. პროდუქციაზე მომხმარებლების ხელმისაწვდომობა

### კითხვა 34

ინვესტორები საბაზო და მიმღები ქვეყნების მთავრობების ყურადღებით სარგებლობენ. კერძოდ, მათ მიმართ ხორციელდება:

აირჩიეთ ერთი:

- a. ყველა პასუხი სწორია
- b. სახელმწიფო გარანტიები
- c. უცხოური ინვესტიციების დაზღვევა
- d. ორმაგი დაბეგვრის გამორიცხვა

### კითხვა 35

იმიგრაცია არის:

აირჩიეთ ერთი:

- a. ადამიანების გადაადგილება ეროვნული ქვეყნის შიგნით
- b. ადამიანების ნებაყოფლობითი შემოსვლა საკუთარ სამშობლოში
- c. მოცემულ სახელმწიფოში უცხოელის შემოსვლა
- d. უცხო ქვეყანაში ადამიანების ტურისტული მოგზაურობა

### კითხვა 36

ადამიანის მიგრაციის მიზეზებია:

აირჩიეთ ერთი:

- a. ყველა პასუხი სწორია
- b. ეკოლოგიური პრობლემები
- c. რელიგიური პრობლემები
- d. პოლიტიკური პრობლემები

### კითხვა 37

საერთაშორისო შრომითი მიგრაცია არის:

აირჩიეთ ერთი:

- a. ერთი სახელმწიფოდან მეორეში ტურისტული ნაკადის მიღება
- b. ერთი სახელმწიფოდან მეორეში შრომისუნარიანი მოსახლეობის გადასახლება სამუშაოს მისაღებად
- c. ერთი სახელმწიფოდან მეორეში შრომითი რესურსების დეპორტაცია
- d. ერთი სახელმწიფოდან მეორეში საბრძოლო რაზმების მიღება

### კითხვა 38

სამუშაო ძალის ექსპორტიორ ქვეყანაში ემიგრაციის უარყოფითი შედეგია:

აირჩიეთ ერთი:

- a. საქონელზე ახალი მოთხოვნების გადიდება
- b. წარმოებული პროდუქციის კონკურეტუნარიანობის შემცირება
- c. განათლების ხარჯების გაზრდა
- d. ეროვნული ეკონომიკის განვითარების მნიშვნელოვნად შეფერხება

### კითხვა 39

სამუშაო ძალის ექსპორტიორი ქვეყნების ემიგრაციული პოლიტიკის მიზანი არ არის:

აირჩიეთ ერთი:

- a. ემიგრანტებიდან ქვეყნის სავალუტო შემოსავლების გადიდება
- b. შრომითი რესურსების ექსპორტირების რეგულირება
- c. ემიგრანტთა ცხოვრების დონის გაუმჯობესება
- d. ქვეყანაში უმუშევრობის დონის შემცირება

### კითხვა 40

სამართლებრივი სტატუსის მიხედვით იმიგრანტები რამდენ ჯგუფად იყოფა?

აირჩიეთ ერთი:

- a. ოთხ ჯგუფად
- b. ორ ჯგუფად
- c. ხუთ ჯგუფად
- d. სამ ჯგუფად